ბრძანება:**ბ115.115222031**
თარიღი:**22/07/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 2022 წლის 29 ივლისს 12-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 29 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

2.2.,,ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის N114-1142217186 მომართვა- ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.N215 ა სახლის მიმდებარედ სკვერზე, სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

2.4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-

1142218936 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 230.0 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ N20.37.05.032) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218946 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116 ა-ს მიმდებარედ 538.0 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.05.182) 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ეთერ გოგიტიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218944 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.01.084) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ გუგული ტაკიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

2.7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 ივლისის N114-11422193148 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084) აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ მეგი გოგიტიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი